პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №9

ქ. თბილისი 08.08.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

*პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:*

**ქეთევან ჯაყელი** - სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
**მაია ჩიხლაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი; შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას" დირექტორის მოადგილე, სხდომის მდივანი;
**ელგუჯა მელაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
**ირაკლი პეტრიაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე;
**ნიკოლოზ ჩაჩხიანი** - პროფესიული განათლების ექსპერტი, Chemonics International.

*სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:*

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

*პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:*

1. ბადრი ტარიელაშვილი - შპს ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯის დირექტორი;
2. გენო თოდუა - შპს ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯის ხარისხის მართვის ხელმძღვანელი.

*პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ავტორიზაციის ექსპერტი):*

ელენე გვენცაძე;
მაყვალა დარსანია.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 14:05 საათზე, შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.თავმჯდომრემ საბჭოს წევრებს მიუთითა 24-ე მუხლის მე-2

პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:**

1. შპს ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კოლეჯ გამას მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა;
3. შპს პროფესიულ კოლეჯ ინტელექტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა საბჭოს წინაშე წარადგინა შპს კოლეჯ გამასა და შპს პროფესიულ კოლეჯ ინტელექტის წერილობითი შუამდგომლობები, დაწესებულებების ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადების თაობაზე. შპს კოლეჯ გამას მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობაში (ცენტრში რეგისტრაციის №943164) მითითებული იყო, რომ დაწესებულების დირექტორი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებდა საბჭოს სხდომაზე დასწრებას. შპს პროფესიულ კოლეჯ ინტელექტის მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობაში (ცენტრში რეგისტრაციის №940927) მითითებული იყო, რომ დაწესებულების დირექტორი არ იმყოფებოდა საქართველოში და შესაბამისად ვერ ახერხებდა საბჭოს სხდომაზე დასწრებას.

საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობებს. შპს კოლეჯ გამასა და შპს პროფესიულ კოლეჯ ინტელექტის ავტორიზაციის საკითხების განხილვა გადაიდო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მომდევნო სხდომისთვის.

**შესაბამისად, თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:**

1. შპს ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის ახალის დღის წესრიგი.

1. შპს ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ელენე გვენცაძემ და ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მაყვალა დარსანიამ.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას სურვილი ჰქონდა განეხორციელებინა შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს: ბუღალტერ-ტექნიკოსი - მესამე საფეხური (ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი); მცენარეების დამამზადებელი - მესამე საფეხრი; მეხილე - მეორე საფეხური; ინფორმაციული ტექნოლოგი - მესამე საფეხური; მეფუტკრე - მესამე საფეხური; ექთნის თანაშემწე - მესამე საფეხური. დაწესებულებაში ირიცხებოდა 93 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტმა ხაზი გაუსვა დაწესებულების დაფუძნების ფაქტს და აღნიშნა, რომ დაწესებულების სამართლებრივი ფორმა იყო - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნებული იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ. დაწესებულებაში სტუდენტები ირიცხებოდნენ პროფესიული ტესტირების გარეშე, მხოლოდ გასაუბრების საფუძველზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ **საგანმანათლებლო პროგრამების** გადამოწმების შედეგად, დაფიქსირდა შემდეგი გარემოებები:

1.1 ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი იყო კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 17 მარტის N01/01 - 7 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. ექსპერტთა ვიზიტის დროს კოლეჯმა წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 26 ივლისის N0101 – 20 და 27 ივლისის N0101 – 21 ბრძანებით დამტკიცებული კორექტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. კერძოდ, ცვლილებები შეეხო სწავლის შედეგებს, სტუდენტის შეფასების სისტემასა და სასწავლო გეგმებს;

1.2 კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება შპს „ცხუმ-ეგრისთან" (ხელშეკრულება N05/03-1 2016 წელი 4 იანვარი) და სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯთან „აისი" (N05/03-9) პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა შესაბამის პროფესიულ პროგრამაზე მიღების შესახებ. ხელშეკრულებებში არ არის მითითებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი.

ექსპერტის განმარტებით **მატერიალური რესურსის** გადამოწმების შედეგად დაფიქსირდა შემდეგი გარემოებები:

2.1 ბუღალტერ ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განხორციელება არის გათვალისწინებული A და B ტიპის (48,9 კვ.მ და 50.0კვ.მ.) გარემოს ოთახებში. A, B გარემოს აღჭურვილობა ნაწილობრივ შეესაბამება მოდულების მიზნებსა და ამოცანებს. B გარემოში არის განთავსებული 13 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისთვის, ერთი კომპიუტერი მასწავლებლისთვის: 4 კომპიუტერი 2 გბ. და 9 კომპიუტერი 1 გბ., თუმცა ბუღალტერ-ტექნიკოსის

მოდულური პროგრამის შემდეგ მოდულებში: მონაცემთა ბაზებთან მუშაობა; კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა; პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაცია; კორესპონდენციის ორგანიზება მინიმალური ნორმატივია 2 გბ, ე. ი. თითოეულ სტუდენტზე B გარემოში უნდა იყოს 2 გბ. კომპიუტერი, ვინაიდან დაწესებულება გეგმავს 20 პროფესიული სტუდენტის მიღებას აღნიშნულ პროფესიულ პროგრამაზე, აუცილებელია, რომ მინიმუმ 10 კომპიუტერი იყოს 2 გბ.;

2.2 კოლეჯს სულ აქვს: ორადგილიანი მაგიდა - 78; ორადგილიანი მერხი - 32; სამადგილიანი მერხი - 10; სკამი - 133; მასწავლებლის მაგიდა - 8; დაფა - 8; კომპიუტერი - 13; ლეპტოპი - 1. ზემოთ აღნიშნული ინვენტარი საჭიროებს განახლებას. დაწესებულებაში გათბობის საშუალებად გამოიყენება შეშის ღუმელი;

2.3 ექსპერტთა ვიზიტის დროს კოლეჯს არ ჰყავდა ბიბლიოთეკარი. ამასთან, ნაწილი წიგნებისა არ იყო დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით. თუმცა, შემოწმებული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებული ლიტერატურა შეესაბამება კოლეჯის ბიბლიოთეკის ფონდს;

2.4 კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (23 თებერვალი 2016 წელი), რომელშიც არის უზუსტობები. კერძოდ, მოქმედების ვადა - 2015 წლის 31 დეკემბრამდე, ასევე მიღება-ჩაბარების აქტში საუბარია სკოლაზე და არა კოლეჯზე;

2.5 ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში კოლეჯის ვებვერდი არ ფუნქციონირებდა, ვინაიდან კოლეჯს ჰქონდა ფინანსური დავალიანება;

2.6 კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 05.01. N01/01 – 4 ბრძანებით დამტკიცებულია დაწესებულების განვითარების ერთწლიანი (2016 წლის) და გრძელვადიანი (ექვსწლიანი 2016-2021) სამოქმედო გეგმები. გრძელვადიან გეგმაში წლების მიხედვით არ არის გაწერილი განსახორციელებელი ღონისძიებები. განხორციელების ვადა ყველგან მითითებულია 2016-2021წწ..

ექსპერტის განმარტებით **ადამიანური რესურის** გადამოწმების შედეგად დაფიქსირდა შემდეგი გარემოება:

3.1 ექთნის თანაშემწის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის თითქმის ყველა საგანს კითხულობს ექიმი თერაპევტი, დაწესებულების პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა პრაქტიკოსი ექთნის დოკუმენტაცია, რომელიც წინა წლებში ჩართული იყო ამ პროგრამის განხორციელებაში, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში განმახორციელებლად დაემატა (ქირურგიული/თერაპიული და ნევროლოგიური ავადმყოფის მოვლა; ავადმყოფის მოვლა; ავადმყოფის მოვლა - საწარმოო პრაქტიკა; ნევროლოგიური ავადმყოფის მოვლა - საწარმოო პრაქტიკა; ქირურგიული ავადმყოფის მოვლა - საწარმოო პრაქტიკა; თერაპიული ავადმყოფის მოვლა - საწარმოო პრაქტიკა) ექთანი.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები ნაწილობრივ გამოსწორდა, ხოლო ნაწილი გამოსწორების პროცესში იყო.

საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილ იქნა დაწესებულების წარმომადგენლების მიერ ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მატერიალური სახით. კერძოდ, დაწესებულების ბიბლოთეკართან დადებული ხელშეკრულება; სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილება; ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მოწესრიგების დამადასტურებელი ფოტომასალა; ორი ახალი კომპიუტერის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ჯაყელმა აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული ადმინისტრაციული და სხვა სახის დარღვევები, მიუთითებდნენ დაწესებულებაში სასწავლო პროცესის დარღვევით მიმდინარეობის ფაქტზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ დაწესებულება მდებარეობდა საზღვრისპირა რეგიონში, სადაც მუდმივად დაძაბული პოლიტიკური ვითარება იყო, შესაბამისად, ეს აისახა დაწესებულებაზეც. კერძოდ, ადგილი ჰქონდა დაწესებულების ინვენტარის არაკანონიერად დაუფლების ფაქტებს. ასევე, ხშირად იცვლებოდა დაწესებულების დირექტორი, რაც არასტაბილურობას ქმნიდა დაწესებულებაში. ამჟამად, ყველა ამდაგვარი პრობლემა მოგვარებული იყო და დაწესებულება გამოთქვამდა მზაობას ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების ბოლომდე გამოსწორებაზე.

საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ ყურადღება გაამახვილა დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა მობილობის თაობაზე დადებულ ხელშეკრულებაზე სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯთან „აისი". მან აღნიშნა, რომ აღნიშნული დაწესებულება წარმოადგენდა სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას და ეჭვქვეშ დააყენა სტუდენტთა მობილობის საკითხი, ვინაიდან დასახელებულ დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის საფუძველს წარმოადგენდა სახელმწოფო პროფესიული ტესტირების ჩაბარება. ამასთან, დაწესებულებები ერთმანეთისგან ტერიტორიულადაც შორს მდებარეობდნენ. მისი განმარტებით, სწორი იქნებოდა თუ დაწესებულება შეიმუშავებდა შესაბამის მექანიზმს და თავად უზრუნველყოფდა პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლების დასრულებას. გარდა ამისა დაწესებულება წარმოადგენდა კერძო კოლეჯების ასოციაციის მემორანდუმის ხელმომწერ მხარეს და შეეძლო მასთან ტერიტორიულად ახლომდებარე კერძო სამართლის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაედო ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები.

საბჭოს წევრი, ელგუჯა მელაძე დაინტერესდა დაწესებულების მიერ დადებული ხელშეკრულებებით პრაქტიკის ობიექტებთან და კითხვით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, მოინახულეს თუ არა მათ ვიზიტის პროცესში პრაქტიკის ობიექტები.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით ხუთი წლის ვადით გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები შემდეგ დაწესებულებებთან: სს სამედიცინო კორპორაცია ევექსი ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალი (22 მარტი 2016, ხელშეკრულება #22/03-16) - ექთნის თანაშემწის პროგრამა; შპს ოუპიემ ფინანსინგი (22.03.2016) - მცენარეების დამამზადებელის (სამკურნალო, არომატული) პროგრამა; ინდ.მეწარმე „რამაზი ჩაჩიბაია" (22.03.2016) - ინფორმაციული ტექნოლოგიის პროგრამა; შპს „ზედაეწერი - 2" (22.03.2016) - ბუღალტერ-ტექნიკოსის პროგრამა; ინდ. მეწარმე ფაუსტი ბიგვავა (22.03.2016) - მეფუტკრის პროგრამა; შპს „გემუანი" - მეხილის პროგრამა. მისი თქმით, ვიზიტის პროცესში მოხდა ყველა პრაქტიკის ობიექტის მონახულება.

ელგუჯა მელაძე დაინტერესდა, ნახეს თუ არა ექსპერტებმა სტუდენტები პრაქტიკის ობიექტებზე.

ექსპერტმა განმარტა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის განხორციელების დროს იყო არდადეგები და არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. შესაბამისად, სტუდენტები ვერ იხილეს პრაქტიკის ობიექტებზე. თუმცა აქვე აღნიშნა, რომ მაგალითად, სს სამედიცინო კორპორაცია ევექსის ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალში ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება პრაქტიკის ხელმძღვანელთან, რომელმაც მოთხოვნის შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის ობიექტზე აღრიცხვის ჟურნალი, სადაც დაფიქსირებულები

იყვნენ დაწესებულების სტუდენტები, რომლებიც სწავლობდნენ ექთნის თანაშემწის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

საბჭოს წევრებმა დააფიქსირეს საკუთარი მოსაზრება იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულების რეავტორიზაციის შემთხვევაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტები განხორციელდეს უშუალოდ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს შპს ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯის დაფუძნების ფაქტზე. ყურადღება გამახვილებულ იქნა იმ გარემოებაზე, რომ დაწესებულების დამფუძნებელი და 100 %-იანი წილის მფლობელი იყო თვითმმართველი თემი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად. შესაბამისად, აღნიშნული დაწესებულება ფინანსდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან და მნიშვნელოვანი იყო იმ საკითხის გარკვევა უნდა მიჩნეულიყო თუ არა დაწესებულება სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებად ნაცვლად კერძო დაწესებულებისა და ასევე, უნდა ირიცხებოდნენ თუ არა აღნიშნულ დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტები სახელმწიფო პროფესიული ტესტირების საფუძველზე. ასევე, ყურადღება იქნა გამახვილებულ დაწესებულების სამართლებრივ ფორმაზე.

საბჭოს სხდომაზე 14:55 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 15:25 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ჯაყელმა აღნიშნა, რომ შპს ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯთან დაკავშირებული ზემოთ დასახელებული საკითხები საჭიროებდა სიღრმისეულ შესწავლას, აქედან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის განხილვა გადადებულიყო საბჭოს მომდევნო სხდომისთვის.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 15:30 საათზე.

**თავმჯდომარე**
ქეთევან ჯაყელი

**მდივანი**
მაია ჩიხლაძე